

შპს „ვიტო“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

თბილისი 2025

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	19
5. გაცემული სესხები	19
6. მარაგები	20
7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	20
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
10. მიღებული სესხები	21
11. შემოსავალი რეალიზაციიდან	22
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
14. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	22
15. მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	23
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24
18. მმართველობითი ანგარიშგება	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიტოს“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ვიტოს“ (შემდგომში „კომპანიის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვიტოს“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

19 ივნისი, 2025

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვეულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

19 ივნისი, 2025



შპს „ვიტო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	497,474	416,357
არამატერიალური აქტივები		1,745	1,965
გაცემული სესხი	5	2,742,717	2,501,826
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,241,936	2,920,148
მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები		4,083	3,356
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,340,522	303,083
საგადასახადო აქტივები		-	73,727
მარაგები	6	9,964,306	7,873,131
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	152,129	96,410
სულ მიმდინარე აქტივები		12,461,040	8,349,707
სულ აქტივები		15,702,976	11,269,855
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		220	220
გაუნაწილებელი მოგება		13,652,094	9,685,783
სულ კაპიტალი		13,652,314	9,686,003
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხი	10	1,558,103	516,246
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,558,103	516,246
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		63,388	4,484
მიღებული სესხი	10	321,353	448,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	107,818	614,253
სულ მიმდინარე ვალდებულებები		492,559	1,067,606
სულ ვალდებულებები		2,050,662	1,583,852
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,702,976	11,269,855

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 ივნისს:

ხელმომწერი პირი

ხელმომწერი პირი

ზვიადი ბიბილეიშვილი

ბაკური ჯიმშელიშვილი

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

შენიშვნები გვერდებზე 10-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ვიტო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	497,474	416,357
არამატერიალური აქტივები		1,745	1,965
გაცემული სესხი	5	2,742,717	2,501,826
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,241,936	2,920,148
მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გაწეული ხარჯები		4,083	3,356
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2,340,522	303,083
საგადასახადო აქტივები		-	73,727
მარაგები	6	9,964,306	7,873,131
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	152,129	96,410
სულ მიმდინარე აქტივები		12,461,040	8,349,707
სულ აქტივები		15,702,976	11,269,855
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		220	220
გაუნაწილებელი მოგება		13,652,094	9,685,783
სულ კაპიტალი		13,652,314	9,686,003
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხი	10	1,558,103	516,246
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,558,103	516,246
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		63,388	4,484
მიღებული სესხი	10	321,353	448,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	107,818	614,253
სულ მიმდინარე ვალდებულებები		492,559	1,067,606
სულ ვალდებულებები		2,050,662	1,583,852
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,702,976	11,269,855

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 ივნისს:

ხელმოწერი პირი




ზვიადი ბიბილაშვილი

დირექტორი



ხელმოწერი პირი



ბაკური ჯიმშელეიშვილი

მთ.ბუღალტერი

შენიშვნები გვერდებზე 10-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ვიტო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	27,678,227	25,163,262
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(20,657,462)	(19,046,928)
საერთო მოგება		7,020,765	6,116,334
მიწოდების ხარჯები		(41,085)	(20,179)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,417,048)	(2,030,770)
საოპერაციო მოგება		4,562,632	4,065,385
ფინანსური შემოსავლები	14	240,892	240,892
არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		(4,072)	20,092
მოგება საკურსო სხვაობიდან	15	93,590	82,926
ფინანსური ხარჯები	14	(153,224)	(95,010)
მოგება დაბეგვრამდე		4,739,818	4,314,285
მოგების გადასახადი		(116,026)	(420,737)
წლის მოგება		4,623,792	3,893,548
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		4,623,792	3,893,548

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 ივნისს:

ხელმომწერი პირი

ხელმომწერი პირი

ზვიადი ბიბილეიშვილი

ბაკური ჯიმშელეიშვილი

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

შენიშვნები გვერდებზე 10-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ვიტო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	27,678,227	25,163,262
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(20,657,462)	(19,046,928)
საერთო მოგება		7,020,765	6,116,334
მიწოდების ხარჯები		(41,085)	(20,179)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,417,048)	(2,030,770)
საოპერაციო მოგება		4,562,632	4,065,385
ფინანსური შემოსავლები	14	240,892	240,892
არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		(4,072)	20,092
მოგება საკურსო სხვაობიდან	15	93,590	82,926
ფინანსური ხარჯები	14	(153,224)	(95,010)
მოგება დაბეგვრამდე		4,739,818	4,314,285
მოგების გადასახადი		(116,026)	(420,737)
წლის მოგება		4,623,792	3,893,548
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		4,623,792	3,893,548

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 ივნისს:

ხელმძღვანელი პირი




ზვიადი ბიბილეიშვილი

დირექტორი



ხელმძღვანელი პირი



ბაკური ჯიმშელიშვილი

მთ.ბუღალტერი

შენიშვნები გვერდებზე 10-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ვიტო“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ
01 იანვარი 2023 წელი	220	8,140,060	8,140,280
წლის მოგება/ზარალი	-	3,893,548	3,893,548
სულ მთლიანი სრული შემოსავალი	220	12,033,608	12,033,828
კაპიტალის ცვლილება	-	36,353	36,353
გაცემული დივიდენდი	-	(2,384,178)	(2,384,178)
ოპერაციები			
მფლობელებთან	-	(2,347,825)	(2,347,825)
31 დეკემბერი 2023 წელი	220	9,685,783	9,686,003
წლის მოგება/ზარალი		4,623,792	4,623,792
სულ მთლიანი სრული შემოსავალი	220	14,309,575	14,309,795
გაცემული დივიდენდი	-	(657,481)	(657,481)
ოპერაციები			
მფლობელებთან	-	(657,481)	(657,481)
31 დეკემბერი 2024 წელი	220	13,652,094	13,652,314

შენიშვნები გვერდებზე 10-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „ვიტო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენ.	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი		4,623,792	3,893,548
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	4	35,847	42,350
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	15	(93,590)	(82,926)
ფინანსური შემოსავალი	14	(240,892)	(240,892)
ფინანსური ხარჯი	14	153,224	95,010
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ხარჯი	7	(32,284)	(54,399)
მოგების გადასახადის ხარჯი		116,026	420,737
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		4,562,123	4,073,428
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	7	(2,005,155)	76,988
ცვლილება მარაგებში	6	(2,091,175)	(1,562,445)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		73,728	(71,814)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	9	(506,435)	542,706
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		58,904	(167,229)
ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		(727)	5,012
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(4,470,860)	(1,176,782)
გადახდილი პროცენტი	10	(153,224)	(95,010)
გადახდილი მოგების გადასახადი		(116,026)	(420,737)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		(177,987)	2,380,899
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ცვლილება ძირითად საშუალებებში	4	(116,743)	(62,237)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(116,743)	(62,237)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების გადახდა	10	(1,085,659)	(555,178)
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	5	2,000,000	531,660
გადახდილი დივიდენდი		(657,481)	(2,384,178)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან		256,860	(2,407,696)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა			
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		93,590	82,926
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		96,410	102,518
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		152,129	96,410

შენიშვნები გვერდებზე 10-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვიტო“ (შემდგომში - „კომპანია“) 2011 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე, სამშენებლო-სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში. ამავდროულად, შპს „ვიტო“ წარმოადგენს „KNAUF“-ის, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სარემონტო მასალების მწარმოებელი კომპანიის ოფიციალურ დილერს იმერეთის რეგიონში.

ს/კ:412675298

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2011 წლის იანვარში.

იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 21ა

ფაქტობრივი მისამართი: ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 21ა

დირექტორი: ზვიადი ბიბილეიშვილი

100% წილის მფლობელი: ზვიადი ბიბილეიშვილი

საზოგადოების საერთო კრების თავმჯდომარეს, წარმოადგენს კომპანიის მმართველი დირექტორი: ზვიადი ბიბილეიშვილი, დაბადებული 1977 წელს, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მსს ფასს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 3.2.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა

სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიას მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

შენიშნული განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

მანქანა-დანადგარები

15

ოფისის აღჭურვილობა

2-10

ავეჯი და სხვა ინვენტარი

2-15

სატრანსპორტო საშუალებები

5-20

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს რელიზებული სამშენებლო მასალებით მიღებული შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

საოპერაციო იჯარა - საზოგადოება როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს საზოგადოება საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდი ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების

ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას

ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

3.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც

მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

3.2 ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ შეაფასა არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. მიმდინარე პერიოდში, კომპანიის მთლიანი სრული შემოსავალი შეადგენს 4,623,792 ლარს. გარდა ამისა, კომპანიის მიმდინარე აქტივები რამდენჯერმე აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება მართებული და შესაბამისია.

შპს „ვიტო“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

4. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
1/1/2023	44,256	68,679	49,445	343,689	-	506,069
შესყიდვა	-	56,634	8,853	73,466	-	138,952
გაყიდვა	-	(108)	(68)	(76,539)	-	(76,715)
12/31/2023	44,256	125,205	58,230	340,615	-	568,306
შესყიდვა	-	16,421	6,925	107,512	86,994	217,851
გაყიდვა	-	(672)	(280)	(100,155)	-	(101,108)
კორექტირება	-	-	-	(7,876)	-	(7,876)
12/31/2024	44,256	140,953	64,875	340,096	86,994	677,174
აკუმულირებული ცვეთა						
1/1/2023	(5,519)	(32,168)	(21,610)	(50,522)	-	(109,820)
ცვეთის დარიცხვა	(2,810)	(11,774)	(5,537)	(24,098)	-	(44,219)
ცვეთის ამოტრიალება	-	108	-	1,981	-	2,089
12/31/2023	(8,330)	(43,834)	(27,147)	(72,639)	-	(151,949)
ცვეთის დარიცხვა	(2,810)	(17,223)	(6,428)	(23,346)	-	(49,808)
ცვეთის ამოტრიალება	-	672	190	13,319	-	14,181
კორექტირება	-	-	-	7,876	-	7,876
12/31/2024	(11,140)	(60,384)	(33,385)	(74,791)	-	(179,700)
საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 31 დეკემბერი	35,927	81,371	31,083	267,976	-	416,357
2024 წლის 31 დეკემბერი	33,116	80,568	31,490	265,305	86,994	497,474

კომპანიის ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებებით.

ცვეთის ხარჯი ასახულია შენიშვნა 16-ში, კერძოდ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებში.

5. გაცემული სესხები

	12/31/2024	12/31/2023
გაცემული სესხები	2,007,432	2,007,432
მისაღები პროცენტები	735,285	494,394
სულ გაცემული სესხები	2,742,717	2,501,826

კომპანიას გაცემული სესხები აქვს მხოლოდ შპს არტ ინვესტზე, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 007 432 ლარს, მისაღები პროცენტები კი შეადგენს 735,285 ლარს. სულ გაცემულია 42 სესხი, ყველა მათგანი 12%-ში არის გაცემული. რაც შეეხება სესხის დაფარვას, ყველა მათგანის ხანგრძლივობაა 96 თვე და ყველა უნდა დაიფაროს ვადის გასვლისთანავე.

6. მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
საქონელი	9,928,981	7,839,881
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,413	409
საწვავი	11,290	16,006
სპეც. ტანსაცმელი	22,621	16,835
სულ მარაგები	9,964,306	7,873,131

კომპანია უკვე წლებია რაც ოპერირებს ქართულ ბაზარზე, სამშენებლო-სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში. შესაბამისად, მას აქვს დიდი რაოდენობით გასაყიდად გამიზნული მარაგები. კომპანია ანხორციელებს თაბაშირი-მუყაოს ფილის, კედლის და ჭერის პროფილის, ფასადის პენოპლასტის, წებოცემენტის, სამშენებლო ბათქაშის, კაფელ-მეტლახის, შპალერის, ლამინირებული იატაკის, კედლის დეკორატიული პანელის, საბაზანო ინვენტარის, სანტექნიკის მასალებისა და აქსესუარების, სამეურნეო წვრილმანი მასალების რეალიზაციას. შესაბამისად, მისი მარაგების უდიდეს ნაწილს, სწორედ ზემოთ აღნიშნული გასაყიდად გამიზნული მარაგები წარმოადგენს.

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 20,657,462 ლარს (2023: 19,046,928 ლარი).

7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	320,566	361,992
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,134,951	23,802
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ანარიცხებამდე	2,455,517	385,794
ანარიცხები	(114,995)	(82,711)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,340,522	303,083

მოთხოვნები შედგება კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი თანხებისგან, რეალიზებული საქონლის მისაღები თანხებისგან. მენეჯმენტი მონიტორინგს უკეთებს თითოეულ დებიტორს გაუფასურების მხრივ, ამრიგად, 2024 წლისთვის დებიტორული დავალიანების რეზერვმა შეადგინა 105 811 ლარი.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ანარიცხი 1 იანვრისათვის	82,711	31,599
ანარიცხი აღიარებული წლის მანძილზე	105,811	51,112
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწრა	-	-
სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	(73,527)	-
ანარიცხი 31 დეკემბრისათვის	114,995	82,711

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	69,597	58,202
ფული ხელზე	82,533	38,208
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	152,129	96,410

შპს „ვიტო“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	83,111	592,768
გადასახდელი ხელფასები	-	5,172
მიღებული ავანსები	24,707	16,313
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	107,818	614,253

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გასულ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც უმეტესწილად გამოცვეულია მოწოდებისა და მომსახურებისგან წარმოქმნილ ვალდებულებებზე, რომელთაგანც ყველაზე მსხვილები არიან შპს „ლუკა“ და შპს „არტ-ინვესტი“.

10. მიღებული სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	321,353	448,869	1,558,103	516,246
სულ მიღებული სესხები	321,353	448,869	1,558,103	516,246

კომპანიის სესხები შედგება მხოლოდ ბანკებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხებისგან საბრუნავი კაპიტალის შესავსებად. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას აქვს ერთი გრძელვადიანი სესხი, დოლარში 13%-ში, რომელიც გაიცა 22.07.2024-ში.

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2023 წლის 1 იანვარი	539,765	448,869	988,634
<i>ფულადი ნაკადების მოძრაობა</i>			
სესხის აღება	531,660	-	531,660
სესხის დაფარვა	-	(475,368)	(475,368)
გადახდილი პროცენტი	-	(81,689)	(81,689)
<i>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</i>			
დარიცხული პროცენტი	-	95,010	95,010
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	(93,132)	(93,132)
რეკლასიფიკაცია	(555,179)	555,179	-
2023 წლის 31 დეკემბერი	516,246	448,869	965,115
<i>ფულადი ნაკადების მოძრაობა</i>			
სესხის აღება	2,000,000	-	2,000,000
სესხის დაფარვა	(516,246)	(472,296)	(988,542)
გადახდილი პროცენტი	-	(148,913)	(148,913)
<i>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</i>			
დარიცხული პროცენტი	-	153,224	153,224
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	(101,428)	(101,428)
რეკლასიფიკაცია	(441,897)	441,897	-
2024 წლის 31 დეკემბერი	1,558,103	321,353	1,879,456

შპს „ვიტო“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	27,678,227	25,163,262
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	27,678,227	25,163,262

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. შემოსავალი გენერირდება სამშენებლო-სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობით.

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული/შემცენილი საქონელი	(20,657,462)	(19,046,928)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(20,657,462)	(19,046,928)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,254,908)	(1,089,323)
სხვა საერთო ხარჯი	(442,074)	(379,793)
საიჯარო ქირა	(315,700)	(296,786)
ბანკის საკომისიოები	(132,284)	(98,457)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(105,811)	(54,492)
ცვეთა და ამორტიზაცია	(50,028)	(44,439)
რემონტის ხარჯები	(48,586)	-
კომპიუტერის ხარჯები	(22,599)	(23,918)
დაზღვევა	(21,282)	(20,202)
კომუნიკაციის ხარჯები	(16,043)	(16,084)
რეკლამის ხარჯები	(3,143)	(3,191)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(4,588)	(4,083)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,417,048)	(2,030,770)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს შრომის ანაზღაურება.

14. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	(153,224)	(95,010)
სულ ფინანსური ხარჯი	(153,224)	(95,010)

საპროცენტო შემოსავლები გაცემული სესხებიდან	240,892	240,892
სულ ფინანსური შემოსავლები	240,892	240,892

შპს „ვიტო“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

გასულ პერიოდში, კომპანიის ფინანსურ შემოსავლებს წარმოადგენდა საპროცენტო შემოსავლებს გაცემული სესხებიდან, თუმცა მიმდინარე პერიოდში კომპანიას საპროცენტო შემოსავლები სესხებიდანაც აქვს.

15. მოგება საკურსო სხვაობიდან

	2024	2023
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	109,488	95,010
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	(15,898)	(12,084)
სულ მოგება საკურსო სხვაობიდან	93,590	82,926

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები ასეთი იყო:

მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	კავშირი კომპანიასთან	პროცენტი	12/31/2024	12/31/2023
შპს არტ-ინვესტი	დამფუძნებელი ფიზიკური პირის წილი	100%	2,120,346	51,421
ზვიადი ბიბილეიშვილი	დამფუძნებელი-დირექტორი		19,299	48,500
შპს ტეშენიტები	დამფუძნებელი ფიზიკური პირის წილი	70%	1,347	-
სულ მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან			2,140,991	99,921

ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	12/31/2024	12/31/2023
შპს არტ-ინვესტი	დამფუძნებელი ფიზიკური პირის წილი	100%
	-	(232,242)
სულ ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	(232,242)

გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებზე	12/31/2024	12/31/2023
შპს არტ-ინვესტი	დამფუძნებელი ფიზიკური პირის წილი	100%
გაცემული სესხი	2,007,432	2,007,432
მისაღები პროცენტი	735,270	253,487
სულ გაცემული სესხი და მისაღები პროცენტები	2,742,702	2,260,919

შპს „ვიტო“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში:

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები	12/31/2024	12/31/2023
ხელფასები და ბონუსები	45,000	45,000
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები	45,000	45,000

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 ივნისს:

ხელმომწერი პირი

ხელმომწერი პირი

ზვიადი ბიბილეიშვილი

ბაკური ჯიმშელეიშვილი

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

შპს „ვიტო“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში:


დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები	12/31/2024	12/31/2023
ხელფასები და ბონუსები	45,000	45,000
სულ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები	45,000	45,000

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 19 ივნისს:

ხელმომწერი პირი




ზვიადი ზიბილეიშვილი

დირექტორი



ხელმომწერი პირი



ბაკური ჯიმშელეიშვილი

მთ.ბუღალტერი



შპს „ვიტო“

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



2024 წელი



შპს „ვიტო“

ს/კ:412675298

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2011 წლის იანვარში.


იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 21ა

ფაქტობრივი მისამართი: ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 21ა

დირექტორი: ზვიადი ბიბილეიშვილი

შინაარსი

1. თავი I - საზოგადოების მართვა, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.
2. თავი II - კომპანიის განვითარების გეგმები.
3. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
4. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
5. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
6. თავი VI - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.



თავი I - საზოგადოების მართვა, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საზოგადოების მართვა

საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს **საერთო კრება**. საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანის, დამატებითი შენატანების გზით კომპანიის კაპიტალის გაზრდის, წლიური შედეგების დამტკიცების, განაწილებას დაქვემდებარებული მოგებიდან დივიდენდის გამოცხადების შესახებ.

საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოგების არარსებობისას დივიდენდის გადახდაზე. დაუშვებელია დივიდენდის გაცემა, თუ კომპანიის ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

დამფუძნებლის ძირითადი უფლებები – დივიდენდის მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

კომპანია ითვალისწინებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებით, რის შესაბამისად, საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, ჩვეულებრივ, წლის დასაწყისში.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების საერთო კრების თავმჯდომარეს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს კომპანიის მმართველი დირექტორი: ზვიადი ბიბილეიშვილი, დაბადებული 1977 წელს, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი.

მართვის სტრუქტურა


მართვის სტრუქტურა ანაწილებს მენეჯმენტის ყურადღებას და ძალისხმევას ამოცანებზე და განსაზღვრავს მათზე დახარჯული რესურსების მოცულობას.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. მის მიერ შემუშავებული ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობების მიხედვით მზადდება თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმა კომპანიის საქმიანობის კონკრეტულ ჭრილში.

სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მიერ პერიოდულად ხდება თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების გადახედვა და იმ კორექტივების შეტანა, რაც უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოს რელევანტურობას თანამდებობრივ პოზიციასთან, ამასთან, საზოგადოების ეფექტურ მართვას მიმდინარე თუ მოსალოდნელ პერიოდში.

კომპანიაში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია კომპანიის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება.

დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით:



დამტკიცებულია:
შპს „ვიტო“-ს დირექტორი
ზვიადი ბიბილაშვილი
1 მარტი 2024 წელი




საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ვიტო“ (შემდგომში - „კომპანია“) 2011 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე, უშუალოდ, სამშენებლო-სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში. ამავდროულად, შპს „ვიტო“ წარმოადგენს „KNAUF“-ის, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სარემონტო მასალების მწარმოებელი კომპანიის ოფიციალურ დილერს იმერეთის რეგიონში.

ადგილობრივ ბაზარზე მრავალწლიანი გამოცდილებისა და ყოველდღიურ სამუშაო პროცესში მომხმარებლების მოთხოვნილებების, კონკრეტულ სამშენებლო-სარემონტო პროდუქციასთან მიმართებაში მათი ინტერესების შესწავლამ კომპანიას შესაძლებლობა მისცა, გრძელვადიან პერსპექტივაში მიეღო მიზნობრივი ფინანსური სარგებელი სხვადასხვა კატეგორიის იმპორტირებული პროდუქციის: თაბაშირი-მუყაოს ფილის, კედლის და ჭერის პროფილის, ფასადის პენოპლასტის, შეკიდული ჭერის, სახურავის, წებოცემენტის, სამშენებლო ბათქაშის, კაფელ-მეტლახის, შპალერის, ლამინირებული იატაკის, კედლის დეკორატიული პანელის, WPC დეკორატიული ღობის,

სააბაზანო ინვენტარის, ელექტრო სანათები და მოწყობილობების, სააბაზანო/სამზარეულო ნიჟარებისა და ონკანების, დუშის კომპლექტის, სამალიარო-სარემონტო მოწყობილობების, სამუშაო სპეც. აღჭურვილობის, სანტექნიკის მასალებისა და აქსესუარების, სამეურნეო წვრილმანი მასალების რეალიზაციიდან.



კომპანია ქართულ ბაზარზე, განსაკუთრებით დასავლეთში, საკმაოდ ცნობადი სახელით სარგებლობს და ყოველდღიურად, საშუალოდ, 300-დან 400-მდე სხვადასხვა კლიენტს (ფიზიკური და იურიდიული პირები) უწევს მომსახურებას.

მაღალი კონკურენციის პირობებში კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული პროდუქცია ბიუჯეტურ საფასო სეგმენტშია წარმოდგენილი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამშენებლო და სარემონტო პროცესი ქვეყანაში ერთ-ერთი აქტიური და უწყვეტი მიმდინარეობაა, შესაბამისად, კომპანიის მიერ წარმოდგენილ ყველა და ამავდროულად, ხარისხიან პროდუქციაზე ყოველთვის დიდია მოთხოვნა კლიენტების მხრიდან.

უცხოელ პარტნიორებთან პირდაპირი კომუნიკაციებისა და დადებული ოფიციალური კონტრაქტების საფუძველზე კომპანია, საბაჟო პროცედურების უზრუნველსაყოფად სხვა შუამავალ რეზიდენტ კომპანიასთან ბიზნეს გარიგებით, საკუთარ კლიენტურას სთავაზობს სხვადასხვა წამყვანი ბრენდის, როგორიცაა „KNAUF“, „ONAT“, „PELI“, „AGT“, „ADO“, „ANKA“, „DU&KA“, „ROCA“, „NSK“, „MISTILLO“, „ERSEY“, „WEBER“ წარმოებულ პროდუქციას.

სარეალიზაციო პროდუქციას თან ახლავს სერტიფიკატები - ეს ადასტურებს პროდუქციის ხარისხზე, შემადგენლობაზე, ვარგისიანობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კომპანია მუდმივად ცდილობს ბაზარზე სტაბილური ფინანსური მდგომარეობის და საოპერაციო ეფექტიანობის შენარჩუნებას. 2023 წლის ბოლოს აქტივების ღირებულება იყო 11 მილიონი ლარი და საკუთარი კაპიტალის ღირებულება - 9.7 მილიონი ლარი. ხოლო, 2024 წლის ბოლოს აქტივების ღირებულება იყო 15.7 მილიონი ლარი და საკუთარი კაპიტალის ღირებულება - 13.6 მილიონი ლარი. შესადარის პერიოდებში, 2024 საანგარიშო წლის ფინანსური სურათით ვიღებთ აქტივების 43%-იან და საკუთარი კაპიტალის 40%-იან ზრდას.

თავი II - კომპანიის განვითარების გეგმები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდა და სერვისის გაუმჯობესება;
- მომხმარებლების მომსახურების და საიმედოობის ხარისხის ამაღლება;
- სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზრის მუდმივი კვლევა - მეტი ინოვაცია და შესაძლო ცვლილებებთან სწრაფად ადაპტირება;
- მსხვილ სამშენებლო კომპანიებთან მოლაპარაკებების წარმოება და მათთვის საჭირო სპეციფიკური პროდუქციის, სერვისის შეთავაზება;
- კომპანიის საქმიანობაში თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და არსებულის განახლება კომფორტული სამუშაო პირობების შესანარჩუნებლად;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;
- შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა კანონმდებლობის მიხედვით;
- კომპანიაში დასაქმებული პირების პროფესიული გადამზადება და კარიერული განვითარება;
- სწრაფ ბრუნვაში მყოფი გასაყიდი საქონლის შესაკვეთად საჭირო პროცედურების გონივრულ ვადებში განხორციელება კლიენტისათვის სასურველი პროდუქციის დროულად მიწოდების მიზნით;
- კომპანიის საკუთრებაში არსებული კონკრეტული კატეგორიის მარაგის ძველი ნაშთის დროულად ამოყიდვა თვითღირებულებით ან მცირე ფასნამატით ახალი, უფრო დახვეწილი და თანამედროვე, იმავე თვისებების მქონე პროდუქციის (კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე შერჩეული საქონელი) ჩასანაცვლებლად.



თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიის შემდგომი განვითარებისა და სამომავლო ფუნქციონირებისათვის მენეჯმენტის მიერ პერიოდულად ხდება საქმიანობის სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციების გადახედვა.

2024 წელს, ტრადიციულად, საცალო ქსელის განვითარებასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა პროდუქციის ასორტიმენტი. ახალი ასორტიმენტის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, საყოფაცხოვრებო ინტერიერის გაუმჯობესების მიზნით საკუთარი გაყიდვების ქსელში დამატებული PVC კედლის დეკორატიული პანელები, მანათობელი ქვის პანელები, 3D პანელები, WPC ღობის კომპლექტი, PVC სააბაზანო კარადები, თვითწებვადი წყალგამტარი შპალერები, მულტიფუნქციური სამზარეულოს ნიჟარები, ელექტრო სანათები და მოწყობილობები (LED სანათი; ამსტრონგის სანათი; მაგნიტური დიოდური სანათი - ხაზოვანი, რეგულირებადი, წერტილოვანი, დაფარული; ჭადი; ვინტაჟური ნათურა; ალუმინის ჩრდილოვანი პლინტუსი და პროფილი ხაზოვანი სანათისათვის; მაგნიტური ბილიკი; მბრუნავი ძრავი და მართვის პულტი) მოძიებული იქნა უცხოურ ბაზარზე კონკურენტულ ფასად. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციით 2024 საანგარიშო წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის კუთვნილი შემოსავლების წილი.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა კომპანიის ადმინისტრაციული ოფისისა და სავაჭრო სექციის გაფართოება - საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ახალი დამატებითი ლოკაციების ათვისება. სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობდა მთელი წლის მანძილზე - განახლდა მაღაზიის შიდა ინტერიერი, დამზადდა ახალი სტენდები არსებულ წელს გაზრდილი პროდუქციის ასორტიმენტის და შესაბამისად, კლიენტებთან მიმართებაში მიზანმიმართულად, კომპანიის კუთვნილი სარეალიზაციო პროდუქციის მრავალი სხვადასხვა ნიმუშის კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულ დამატებით ლოკაციებზე, მენეჯმენტის ინიციატივით, ასევე, მომავალ წელს იგეგმება საცხოვრებელი ბინის მეტალის და MDF კარების ნიმუშების განთავსება - მომხმარებლებისთვის თანამედროვე, მოთხოვნადი, დახვეწილი დიზაინის მქონე მოდელების შეთავაზება და ამით, კომპანიის ფინანსური კეთილდღეობის მეტად გაუმჯობესება.

კომპანია ორიენტირებულია საკუთარ მომხმარებლებს შეუქმნას კომფორტული გარემო. კომპანიაში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფს მომხმარებელთათვის პროფესიონალური კონსულტაციების გაწევას და მათ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქციის შეთავაზებას. კომპანიის სანდოობის ხარისხისა და კვალიფიციური

კადრების დამსახურებით, შპს „ვიტო“-ს მომხმარებელთა სია დღითიდღე იზრდება. ამის პარალელურად, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა კომპანიაში დასაქმებული კონსულტანტებისა და საწყობის ოპერატორების რაოდენობა. ამან შესაძლებლობა მოგვცა მოვმსახურებოდით გაცილებით მეტ მომხმარებელს და შეგვემცირებინა მათი სავაჭრო ობიექტში დაყოვნების დრო.



2024 წლის პერიოდში კომპანიის კუთვნილი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გაიხარჯა ფულადი სახსრები სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის (ელექტრო ჩანგლური სატვირთველები) სწრაფცვითადი ნაწილების გასაახლებლად, სარემონტო მიზნით. მნიშვნელოვანია რეალიზებული პროდუქციის გადაზიდვის მომსახურების დროში შეუფერხებლად უზრუნველყოფა და შესაბამისად, აღნიშნული სერვისის მაღალი ხარისხობრივი სტაბილურობის შენარჩუნება. ელექტრო ჩანგლური სატვირთველების გამოყენებით საწყობის ოპერატორებს ყოველდღიურად უმარტივდებათ კომპანიის კუთვნილი, შესყიდული პროდუქციის გადაადგილება, დასაწყობება და შესაბამისად, სასაწყობო ტერიტორიიდან, რეალიზებული საქონლის შემდგომი მიწოდება პოტენციური მომხმარებლებისთვის.

გამართული სამუშაო პროცესის უზრუნველსაყოფად, საცალო და საბითუმო ვაჭრობის ადმინისტრირებისთვის გაუმჯობესდა შპს „ვიტო“-ს საქმიანობაზე მორგებული უნივერსალური პლატფორმა „DAXI ENTERPRISE“, როგორც ეფექტური და მოსახერხებელი ბიზნესის მართვის სისტემა საქმიანობის მაქსიმალურად სწორად წარმართვისა და კონტროლის მიზნით.

ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, წლის მანძილზე განხორციელდა კომპანიის კუთვნილი ქსელის, აუდიო და სამეთვალყურეო სისტემების დაპროექტება/მონტაჟი/ გადაადგილება/დიაგნოსტიკა; უსადენო ინტერნეტ-მოწყობილობების ინსტალაცია/კონფიგურაცია; სერვერული კარადის (Rack) მონტაჟი/განახლება; დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ახალი საოფისე ტექნიკის შესყიდვა, მონტაჟი, პროგრამული შემოწმება.

კომპანიაში დასაქმებული პერსონალის ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, მენეჯმენტის ინიციატივით ჩამოყალიბდა საათობრივი ანაზღაურების სისტემა - შრომის კოდექსით განსაზღვრული და ასანაზღაურებელი ნორმირებული სამუშაო საათების გარდა, ხშირი პერიოდულობით

ჩატარებული ფინანსური ანალიზის ბაზისზე გამოვლენილი ფაქტობრივი დადებითი ფინანსური შედეგისა და ამავდროულად, კომპანიის ბიუჯეტიდან დასაქმებულთა წინაშე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი ფულადი სახსრების გათვალისწინებით, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების დასაანგარიშებლად მაღალი კოეფიციენტის, სახელფასო დანამატის დაწესება (სახელფასო რეინჯის დაახლოებით 30-40%-იანი ზრდა).

კომპანიაში დასაქმებული პერსონალის ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების მიზნით ტრენინგები და მასტერკლასები პერმანენტულად ტარდება. 2024 წელს ჩატარდა რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის ტრენინგი სახელწოდებით „შრომის უსაფრთხოება“, „პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“, „შრომის კულტურა“, „როგორ არ უნდა გავყიდოთ“.



თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები

სოციალური საკითხებიდან ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასაქმება, რომელიც გავლენას ახდეს ადამიანთა სრულყოფილ ყოფა-ცხოვრებაზე. სოციალური აღქმა ინდივიდს ეხმარება როგორც საკუთარი, ასევე სხვების პიროვნული ატრიბუტების გაცნობიერებაში.

მოსახლეობაში სოციალური საკითხების განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მიზან-რაციონალურ მოქმედებასთან. მიზანზე ორიენტირებული ადამიანი მიზნის მისაღწევად გაცილებით მარტივად იყენებს გარე

სამყაროს ნივთებსა და ქცევებს. მიზან-რაციონალური ნაბიჯებისთვის ადამიანი ღირებულებებით დატვირთულ რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც დაფუძნებულია ეთიკასა და ესთეტიკაზე. ლაკონურად გადმოცემული შინაარსით ვთანხმდებით, რომ ადამიანი ხდება თანაზიარი „სოციალური სტატუსის“.

თუ ადამიანი გრძელ ვადაზე იცხოვრებს „სოციალური სტატუსით“, ის ყალიბდება სოციალური ინტელექტის მქონე პიროვნებად. „სოციალური ინტელექტი“ დიდი პრაქტიკის შედეგია.

შესაძლებლობა, რომ ინდივიდი გახდეს „სოციალური სტატუსის“ თანაზიარი, ძალიან რთულია დასაქმების გარეშე. როდესაც ადამიანი ეზიარება შრომით ურთიერთობებს, ის გაცილებით მარტივად იწყებს მოქმედებას სოციალური: ნორმების, კანონების, დაწერილი/დაუწერელი წესების მიხედვით. უდავოა, რომ მოცემული წესები დაფუძნებულია კომპანიის კორპორატიულ კულტურაზე.

კომპანიის კულტურა აუცილებლად უნდა იყოს ორიენტირებული დასაქმებულებზე. მათი უყურადღებობა „ჩუმ წასვლას“ გამოიწვევს, ანუ ამ დროს დასაქმებული იფარგლება შესრულებული სამუშაოთი და ამ პროცესით, ნელ-ნელა, კომპანია კარგავს თანამშრომელს.

ყველაფერი იწყება ე.წ. „CEO“-თი. მას აუცილებლად უნდა ესმოდეს რა არის კორპორატიული კულტურა, როგორი უნდა იყოს ის, ვისზე მორგებული და რა როლი აქვს კორპორატიულ კულტურას ბიზნესის განვითარებაში. ცხადია, ამ შემთხვევაში დირექტორს გააზრებული აქვს „HR“-ის როლი და სამუშაო. „HR“-ის ხედვები უშუალოდ დამოკიდებულებაშია „CEO“-ს ხედვებთან. ზუსტად ესაა მმართველობის სათავე - „რას ვაკეთებთ ბიზნესისთვის“.

კომპანიაში დამკვიდრებული ღირებულებები მთავარია არ იყოს ბუნდოვანი თანამშრომლებისთვის. კომპანიის ღირებულებები უნდა იყოს დამაკავშირებელი ხიდი კომპანიასა და დასაქმებულებს შორის. თუ ზემდგომი სტრუქტურა არ გამოირჩევა ემპათიითა და ემოციური უნარებით, ეს ცალსახად მეტყველებს საკადრო პოლიტიკის სისუსტეზე. აღნიშნულ კომპონენტებს, განსაკუთრებით, ისინი უნდა ფლობდნენ, ვისაც უშუალო შემხებლობა აქვს გუნდთან. ემპათია მხოლოდ რბილი უნარი არ არის, ეს სტრატეგიის ნაწილია. გუნდის ემოციური მდგომარეობის გაგება გვეხმარება, რომ სწორად ვმართოთ გუნდის ჩართულობა, ერთგულება და პროდუქტიულობა. რაც უფრო აქტიურად არის ჩართული დასაქმებული სამუშაოს შესრულების პროცესში, მით უფრო მეტად გრძნობს გუნდის წევრი თავს დაფასებულად.

ემოციური ინტელექტი დღევანდელ მმართველობაში გახლავთ ის რბილი უნარი, რომლის დეფიციტს ქართული ბაზარი ჯერ კიდევ განიცდის და მის ხუთ კომპონენტში ერთ-ერთი გადამწყვეტად მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ „სოციალური უნარებია“. ცხადია, ვერ განვითარდება დასაქმებაში სოციალური ვერც უნარები, ინტელექტი, სტატუსი და ა.შ., თუ ის ჯერ კიდევ უცხოა მენეჯმენტისთვის.

კომპანიები ბუნებრივად იძენენ საკუთარ თავზე მორგებულ ღირებულებებს. სუსტი ღირებულებების ქონის შემთხვევაში, სუსტდება კომპანია და უარესდება მისი შედეგებიც. გუნდურ მუშაობას სჭირდება ემპათიის და ინტელექტუალური თავმდაბლობის კომბინაცია. ემპათია ადამიანებს სხვებთან დაკავშირების შესაძლებლობას აძლევს, თავმდაბლობა კი ეხმარება მოუსმინონ სხვებს და გააზიარონ საკუთარი იდეები. ინოვაციურობისთვის საჭიროა სიმამაცე და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. ამ ორი ღირებულების პრაქტიკაში არსებობის გარეშე არავინ გააზიარებს თავის ახალ და რადიკალურ იდეას, რაც შეიძლება არსებითად მნიშვნელოვანი იყოს კომპანიისთვის.

ზემოთ მოცემული როლი ჯანსაღ და გამართულ მმართველობაში ეიჩარს აკისრია.

პროცესების დაგეგმვასა და შექმნას თან უნდა ახლდეს პროცესების მართვა, თანამშრომელთა სწორად ჩართვა და მათი შესაძლებლობების სწორად გადანაწილება. ჯანსაღი მიზანმიმართულობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის ზრდასთან და განვითარებასთან. ამ მხრივ, აუცილებელია მუდმივი მონიტორინგი: რამდენი თანამშრომელი გვყავს, როგორ არის ადამიანური რესურსები გადანაწილებული ძირითად ბიზნესებზე, რა არის საშუალო ეფექტურობა, რა არის საშუალო დენადობა, რა არის წასვლის მიზეზი, რა არის საშუალო ხელფასი და როგორ მიმართებათ ბაზართან, რა ხდება სხვა კომპანიებში და სხვა.

ეკონომიკური სტატუსის მქონე პიროვნება, საშუალოდ, ცხოვრების მესამედზე მეტ დროს სამსახურში ატარებს. სამსახურში შექმნილი გარემო, პროფესია ხშირად საკუთარი იდენტობის და თვითრწმენის ჩამოყალიბებისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია. სამსახურში არსებული კულტურა არის დამსაქმებლის მიერ კომპანიაში თანამშრომლებისთვის შექმნილი გარემო. კულტურას განსაზღვრავს ის, თუ როგორ გრძნობს კომპანიაში თავს

დასაქმებული - არის თუ არა კმაყოფილი მისი კარიერული წინსვლით, თანამშრომლებთან ურთიერთობით და განვითარების შესაძლებლობებით. კომპანიის კულტურას ქმნის ამავე კომპანიის მმართველი გუნდის, ღირებულებების და დამოკიდებულებების ერთიანობა. კომპანიის კულტურა ის შიდა წესებია, რომელთა მეშვეობით, სამუშაო ადგილზე, რეგულირდება ურთიერთობები თანამშრომლებს შორის. გუნდის წევრი, რომელსაც არ აქვს ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, დიდხანს არ დარჩება კომპანიაში.

დასაქმებულებისთვის ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნით იზრდება პერსონალის პროდუქტიულობა და მიიღწევა კომპანიისთვის სასურველი შედეგები.

ყოველივე ზემოთ ხსენებული, ჩვენი ხედვებია, რომლებიც, ერთმნიშვნელოვნად, განუყოფელია ჩვენი კომპანიისთვის.

კომპანია „ვიტო“ ემიჯნება დასაქმებულთათვის ტოქსიკური სამუშაო გარემოს ფორმირებას.

კომპანია „ვიტო“-ს დევიზია - თანამშრომელთა კეთილდღეობა!

თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის რეალიზაციის ბრუნვა გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 2.5 მილიონი ლარით, რაც განპირობებულია საკუთარი გაყიდვების ქსელში ახალი კატეგორიის პროდუქციის დამატებით და მომხმარებელთათვის მათი ბიუჯეტურ საფასო სეგმენტში წარმოდგენით. ამავდროულად, კომპანიის შიდა სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2023 წელთან შედარებით, შეიმჩნევა ბრუტო მოგების მარჟის წლიური საშუალო პროცენტული მაჩვენებლის დაახლოებით 0,85%-იანი მატება. 2023 წლის ბოლოს დარჩენილ გასაყიდი საქონლის თვითღირებულების ნაშთთან შედარებით, პროდუქციის ასორტიმენტის ზრდის პარალელურად, 2024 წლის ფინანსური მოცემულობით მარაგის ნაშთი გაიზარდა 2.09 მილიონი ლარით (26.65%-ით). ეს ცხადყოფს კომპანიის უნარს, დაარეგულიროს და სამომავლოდ კიდევ უფრო გაზარდოს საბრუნავი აქტივების მოცულობა, ხოლო, არსებული რესურსით, სარეალიზაციო მარაგზე გონივრულად დადგენილი ფასნამატით, მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, გააუმჯობესოს მისაღები საოპერაციო მოგების ფაქტობრივი ფინანსური შედეგი. შესაბამისად, ბოლო ორი შესაძარისი საანგარიშო წლის მანძილზე, გრძელვადიან პერსპექტივაში, აშკარად შენარჩუნებულია კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან გეგმიურად მისაღები ფინანსური შედეგების სტაბილური სურათი.

კომპანიის მენეჯმენტის მიერ გატარებული დებიტორული დავალიანებების მართვის ეფექტური პოლიტიკა ითვალისწინებს სავაჭრო მოთხოვნების საგრძნობლად შემცირებას, თუმცა, სარეალიზაციო ბრუნვის შემცირების პრევენციის მიზნით, კომპანია აქტიურად განაგრძობს მსხვილ კლიენტებთან თანამშრომლობას და სთავაზობს მათ მოკლევადიან, სტანდარტულად 10 დღიან პერიოდში პროდუქციის კონსიგნაციის პირობით მიწოდებას. 2023 წელთან შედარებით 2024 წლის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი გაიზარდა 2.03 მილიონი ლარით, თუმცა, 2024 საანგარიშო წლის ბოლოს მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების სახით დაფიქსირდა მოთხოვნა - 2.13 მილიონი ლარის ღირებულების შემდგომში სარეალიზაციო მიზნით მისაღებ საქონელზე. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, კონტრაგენტებთან საკონსიგნაციო შეთანხმების პირობებზე დაყრდნობით, დებიტორულ დავალიანებებთან მიმართებაში მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით არსებითად არ შეცვლილა.

ვალდებულების კომპონენტს თუ დავაკვირდებით, ჯამურმა ზრდამ შეადგინა 467 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მიზანმიმართულად უზრუნველყოფს გადახდისუნარიანობის რისკის პრევენციას, შეიმჩნევა მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების წილის 506 ათას ლარიანი კლება. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, აღნიშნულთან დაკავშირებით წინასწარ გაწერილი სამოქმედო გეგმა მისაღებ შედეგს იძლევა.

საზოგადოების ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები

კოეფიციენტი	2024	2023	კომენტარი
მიმდინარე კოეფიციენტი	25.3	14.29	მიმდინარე კოეფიციენტი განეკუთვნება ლიკვიდობის კოეფიციენტების ჯგუფს, რომელიც გვიჩვენებს კომპანიის უნარს, საკუთარი მოკლევადიანი აქტივებით შეძლოს მოკლევადიანი ვალდებულებების გასტუმრება. შპს „ვიტო“-ს შემთხვევაში მოკლევადიანი აქტივები 25.3-ჯერ აღემატება მოკლევადიანი ვალდებულებების მოცულობას. აშკარაა, რომ კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია. ეს სავსებით აკმაყოფილებს მიღწეულ შედეგს.
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	41.94	30.78	იმისათვის, რომ განისაზღვროს რამდენად ეფექტიანად მართავს კომპანია მარაგებს, გამოიანგარიშება მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი. რაც მაღალია მარაგების ბრუნვა, მით უფრო ეფექტიანია კომპანიის მარაგების მენეჯმენტი და მით უფრო ლიკვიდურია მარაგები.
ძირითადი საშუალებების გამოყენების ინტენსივობა	55.30	60.15	აღნიშნული ფინანსური მაჩვენებელი მიეკუთვნება ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტების ჯგუფს და გამოიანგარიშება სარეალიზაციო ბრუნვის შეფარდებით ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან. მიღებული შედეგის საფუძველზე, გასულ წელთან შედარებით მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა.
უკუგება აქტივებზე	30.14%	35.30%	ROA კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ბიზნესსუბიექტი საკუთარ აქტივებს მოგების მისაღებად. როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ჩანს, კომპანიის ჯამური აქტივები დაახლოებით 4.7 მილიონი ლარით გაიზარდა მაშინ, როდესაც წმინდა მოგების მზარდი ტენდენციის საფუძველზე, შესაძარის პერიოდებში, მივიღეთ მხოლოდ 836 ათასი ლარით გაუმჯობესებული შედეგი. აღნიშნული ცვლილებები აისახა ROA-ზე უმნიშვნელოდ შემცირების მიმართულებით, თუმცა მიღებული შედეგი სავსებით დამაკმაყოფილებელია.
აქტივების ბრუნვადობის სიჩქარე	1.76	2.28	საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმაზე, თუ აქტივებში ინვესტირებული სახსრები რამდენად სწრაფად გარდაიქმნიებიან რეალურ ფულად. აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენი ბრუნვა შეასრულა საწარმოს კაპიტალმა დროის შესაბამის პერიოდში. რაც უფრო მეტია რეალიზაციის მოცულობა, მით უფრო ეფექტურად გამოიყენება აქტივები, უფრო სწრაფია მათი ბრუნვადობა. როგორც ვხედავთ, კოეფიციენტის სიდიდე შემცირებულია, რაც ცალსახა უარყოფითი მაჩვენებელია, თუმცა მთლიანობაში, აღნიშნული აკმაყოფილებს მიღწეულ შედეგს.

არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს კომპანიაში დაახლოებით 70 მუდმივი დასაქმებული იყო. შპს „ვიტო“ პერმანენტულად უზრუნველყოფს მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას, მათთვის მატერიალური და სოციალური უფლებების დაცვას. კომპანიაში ყოველთვის დაცულია გენდერული თანასწორობის პრინციპები.

მენეჯმენტი ზრუნავს გუნდის წევრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათთვის სხვადასხვა შინაარსის ტრენინგს აორგანიზებს. კომპანია სრულად აფინანსებს პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს.

კომპანია უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და კოლექტიურ დაცვის საშუალებებს, იღებს ადეკვატურ ზომებს მოსალოდნელ რისკებთან და საფრთხეებთან დაკავშირებით.

დანაშაულის პრევენციის მიზნით მაქსიმალურად არის გამარტივებული და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება იმ დასაქმებულთათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ფინანსებზე და კომპანიის კუთვნილი თანხების ჩარიცხვაზე. სავაჭრო ობიექტიდან ნაღდი ფული ყოველდღიურად ინკასირდება ბანკში და კომპანიისთვის ხარჯების ანაზღაურება თითქმის სრულად საბანკო გადარიცხვებით ხდება.

მნიშვნელოვანია პერსონალის შრომის პირობების და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თავის მხრივ, კომპანია ითხოვს შესაბამის უკუკავშირს გუნდის ყველა წევრისგან - შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვას, შრომის შინაგანაწესის დაცვას, საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

თავი VI - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. მენეჯმენტი ყოველდღიურად ახორციელებს საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი, არსებითი რისკების შესწავლასა და მონიტორინგს, ადგენს რისკების მართვის ეფექტურ და ოპტიმალურ სისტემას - ეს უზრუნველყოფს ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმარებისას შემუშავებული მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო შემაფერხებელი ფაქტორის მაქსიმალურ პრევენციას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს შეთანხმებულ ვადებში ვალდებულებების დროულად დაფარვა. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საკრედიტო რისკი დებიტორის მდგომარეობის გაუარესების ალბათობას მოიცავს და გულისხმობს ფულადი ზარალის მიღებას დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების შეთანხმებულ ვადებში არ დაფარვის შემთხვევაში.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე წარმოდგენილია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების სახით.

კომპანიის მენეჯმენტი აკონტროლებს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ვადებს და შესაბამისად, ახდენს საკრედიტო რისკის შემცირებას.

შესაბამისი კომპეტენტური პირების მიერ ყოველდღიურად ხდება კომპანიის კუთვნილი ფულადი სახსრების შემოწმება, კონტროლი და ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმარება იმისთვის, რომ შენარჩუნდეს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც შედგება, ძირითადად, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან.

საბაზრო რისკი - ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო რყევებზე. ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა წარმოადგენს კომპანიის მთავარ რისკს.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საანგარიშო წლის მანძილზე კომპანიის ბალანსზე ფიქსირდება ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული ორი კრედიტი აშშ დოლარში. სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე გრაფიკით დასაფარი თანხების მოცულობა განისაზღვრება გადახდის მომენტში არსებული აშშ დოლარის გაცვლითი სავალუტო კურსით, რომლის პროგნოზირება გრძელვადიან პერიოდში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამ მხრივ, ფულადი სახსრების სავალდებულო გასვლასთან ერთად, სავალუტო რყევების გათვალისწინებით, ადგილი აქვს საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსავალს/ზარალს.

კომპანიის მიერ სარეალიზაციო მიზნით შეძენილი პროდუქციის ფასები პირდაპირ დამოკიდებულებაშია ბაზარზე აშშ დოლარის კურსობრივ ცვლილებასთან. ნაკლები დანახარჯების გაწევის მიზნით, მენეჯმენტი მომწოდებელ პარტნიორებთან ათანხმებს გარიგების ფასს, რაც ხელს უწყობს, შემდგომში, პროდუქციის სარეალიზაციო ფასების სტაბილიზაციას. ამავდროულად, კომპანია, აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით, გონივრულ ვადებში ახდენს სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ზღვრული ოდენობის შევსებას. შედეგად, კომპანიის მიერ საკუთარი მომხმარებლებისთვის შეთავაზებული პროდუქცია ბიუჯეტურ საფასო სეგმენტში წარმოგვიდგება.

სხვადასხვა მარაგის და ფასეულობის დაკარგვის, მათ არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებული რისკი

ქონების დაკარგვის რისკთან დაკავშირებით ტარდება რიგი ღონისძიებები:

- კომპანიის სავაჭრო და სასაწყობო ტერიტორიებზე არსებული კუთვნილი მარაგის მონიტორინგი დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების მეშვეობით;
- სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველკვირეული, ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია, საქონლის ფაქტობრივი რაოდენობების ბუღალტრულ ინფორმაციასთან შედარება;
- პერსონალისთვის კომპანიის კუთვნილი მოძრავი ქონების შენახვასა და მოვლაზე პასუხისმგებლობების გადანაწილება იურიდიული ძალის მქონე შესაბამისი აქტების გაფორმებით - პერსონალის ან სხვა გარეშე პირის მიერ ქონების განზრახ დაზიანების შემთხვევაში, მენეჯმენტის მხრიდან გონივრული და დროული რეაგირების უზრუნველყოფა.
- კლიენტებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გარდა, სასაწყობო ლოკაციაზე სხვა სატრანსპორტო საშუალებებისა და გარეშე პირების შესვლის აკრძალვა.

საოფისე ტექნიკასა და IT პროგრამული მართვის სისტემების გაუმართაობასთან დაკავშირებული რისკი

მაღაზიის ციფრული ავტომატიზებული პლათფორმისა და საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო საოფისე ტექნიკის გაუმართაობა, დროის გარკვეულ მონაკვეთში, იწვევს კლიენტებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევის შეფერხებას. აღნიშნული რისკის პრევენციის მიზნით, ხშირი პერიოდულობით ტარდება ტექნიკური და პროგრამული მართვის სისტემების დიაგნოსტიკა და შედეგად, არსებობის შემთხვევაში, ადგილი აქვს გამოვლენილი პრობლემების დროულად აღმოფხვრას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ **რისკების ეფექტურად მართვისათვის მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა**, რისთვისაც საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს, გაიცემა მაღალი ანაზღაურება, სისტემატიურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და მასტერკლასები.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე.

შპს „ვიტო“-ს დირექტორი

ზვიადი ბიბილეიშვილი

2025 წლის 19 ივნისი

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რისკების ეფექტურად მართვისათვის მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, რისთვისაც საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს, გაიცემა მაღალი ანაზღაურება, სისტემატიურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და მასტერკლასები.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე.

შპს „ვიტო“-ს დირექტორი

ზვიადი ბიბილეიშვილი

2025 წლის 19 ივნისი

